სამაგისტრო პროგრამა

ადამიანური რესურსების მართვა

Human Resource Management

თბილისი

2021

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

შეთანხმებულია:

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან

პროფ. ე.ხარაიშვილთან ----------

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან

ქ-ნ ი. გრძელიძესთან ----------

ფაკულტეტის საბჭოსთან

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარესთან,

პროფ. გ. ღაღანიძესთან ----------

დამტკიცებულია

უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს მიერ

აკადემიური საბჭოს დადგენილება

პროგრამის აღწერილობა

პროგრამის დასახელება ქართულად და ინგლისურად	ადამიანური რესურსების მართვა Human Resources Management
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ადამიანური რესურსების მართვის მაგისტრი Master in Human Resources Management
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	**სასწავლო კომპონენტი** 60 ECTS,მათ შორის : **სავალდებულო სასწავლო კურსები** -40 კრედიტი **არჩევითი სასწავლო კურსები** -20 კრედიტი **სწავლის ხანგრძლივობა** -2 სემესტრი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი /ხელმძღვანელები/კორდინატორები	ხელმძღვანელები : ასოცირებული პროფესორი ნატალია ხარაძე. ასოცირებული პროფესორი ნუგზარ პაიჭაძე
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	) ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;) ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს პროფესიული გამოცდილება მართვის/ადმინისტრირების სფეროში არანაკლებ 5 წელი.) ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა გაიაროს გასაუბრება პროგრამაში მონაწილე პროფესორებთან დადგენილი წესით.) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამის მიზანია :) მოამზადოს კადრები, რომლებსაც ექნებათ შესაბამისი ცოდნა და უნარები, რომელიც საჭიროა თანამედროვე ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერებისათვის.) საჭირო უნარებისა და ცოდნის საშუალებით ხელს შეუწყობენ ორგანიზაციის დინამიურ და ჰარმონიულ განვითარებას.

	) ბაზრის საჭიროებებსა და გამოწვევებზე რეაგირების მქონე კადრის მომზადება, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა მართვას თანამედროვე მეთოდებით, დაეფუძნება მრავალმხრივ თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, კვლევებსა და შემოქმედებით მუშაობას.
სწავლის შედეგები	**ცოდნა და გაცნობიერება**) კრეატიული და ანალიტიკური აზროვნებით, ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების გეგმის ჩამოყალიბება;) უზრუნველყოფს რეკრუტინგის თანამედროვე სისტემის განსაზღვრას, თანამშრომელთა შენარჩუნებისა და ზრდისთვის;) დროსა და სივრცეში მოახდენს ორგანიზაციისათვის საჭირო პროექტების მონახაზის გაკეთებას უახლესი კვლევის მეთოდების გამოყენებით. **უნარი**) რეკრუტინგის პროცესში იმგვარი კადრის შერჩევას, რომელიც ბუნებრივად თავსებადია კომპანიის კულტურასა და ძირეულ ფასეულობებთან;) მართვის ნებისმიერი საფეხურისთვის გამოიყენებს დიფერენცირებული მიდგომის წესებს, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შესასრულებელი საქმიანობის ძირითადი კომპეტენციები;) ბაზრის შესწავლის საფუძველზე დაგეგმავს თანამედროვე პიარ ტექნოლოგიების დახმარებით ტალანტების მოზიდვისა და შენარჩუნების პროცესს. **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**) ორგანიზაციის წევრთა კარიერული მართვის სისტემის მოდიფიცირება საჭირო ტრენინგებით.) ინოვაციური იდეის გამოყენება, ტალანტების არა მხოლოდ მოზიდვის არამედ დამაგრების პროცესში.
სწავლის მეთოდები	ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამით სტუდენტების სწავლებისას, ტრადიციულ ლექციებთან ერთად, გამოიყენება პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობები, პრეზენტაციები და სწავლების სხვა აქტიური მეთოდები. მეცადინეობები

	ჩატარდება სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა ტესტირება, პრაქტიკული სავარჯიშოებისა და სიტუაციური ამოცანების (ქეისების) განხილვა, დისკუსია–სემინარების ჩატარება, საპრეზენტაციო პროექტების მომზადება, აგრეთვე საკონსულტაციო და დამოუკიდებელი მუშაობა. პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისათვის გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა ვერბალური, წიგნზე მუშაობის, დისკუსიის, დებატების, დემონსტრირების, ინდუქციის, დედუქციის და სხვ. თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაცია განხორციელდება შესაბამის ორგანიზაციაში პროფესიული პრაქტიკის გავლით. სწავლა/სწავლების მეთოდები: • **ვერბალური** - ზეპირსიტყვიერი; • **წიგნზე მუშაობის** - სახელმძღვანელოდან თანამედროვე ინფორმაციის გაცნობა და სიტუაციების მომზადება. • **დემონსტრირების** - ინფორმაციის ვიზუალური წარდგენა. სასწავლო მასალის დემონსტრირება მოხდება სლაიდებით და დაფის გამოყენებით; • **პრაქტიკული მეთოდები** - უზრუნველყოფს პრაქტიკულ უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ამოხსნილი იქნება ქეის-სთადები და პრაქტიკული სავარჯიშო; • **ახსნა განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მყარ არგუმენტებზე დაფუძნებულ მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. დაწვრილებით განხილული იქნება კონკრეტული მაგალითი; • **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია; • **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - განხილული იქნება კონკრეტული სიტუაციები (შემთხვევები) და გაკეთდება მათი დეტალური ანალიზი. • **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური

	სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს; საშუალებას აძლევს მოახდინოს კონფლიქტოგენების თავიდან აცილება. ᴊ **ჯგუფური** (collaborative) **მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
შეფასების სისტემა	**შეფასების სისტემა უშვებს:** ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობასჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი სტუდენტს უფლება აქვს

	გავიდეს დამატებით გამოცდაზე, რომელიც ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.
დასაქმების სფეროები	ადამიანური რესურსების მართვის მაგისტრს შეუძლია იმუშაოს უმაღლეს სასწავლებელსა და სამეცნიერო - კვლევით დაწესებულებაში, საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერის თანამდებობაზე. დასაქმების სფეროს, ასევე, განეკუთვნება ეკონომიკისა და ბიზნესის სხვადასხვა დარგის ნებისმიერი სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომერციული ორგანიზაციები (კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოები), ასევე, არაკომერციული ორგანიზაციები.
სწავლის საფასური ქართველი და უცხოელი სტუდენტებისთვის	სწავლის საფასური შეადგენს 2250 ლარს საქართველოს მოქალაქეებისათვის სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმების მიხედვით
პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	**დანართი 1**. (აკადემიური , მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია . CV-ები და ხელშეკრულების ნიმუშები **დანართი 2**. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი საგნების მითითებით **თანართი 3.** (მატერიალურ ტექნიკური ბაზის აღწერილობა)
დამატებითი ინფორმაცია საჭიროების შემთხვევაში	

ფაკულტეტი: ეკონომიკისა და ბიზნესის

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: ბიზნესის ადმინისტრირება ,ერთწლიანი სამაგისტრო პროგრამა , ადამიანური რესურსების მართვა

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები: პროფესორი ასოცირებული პროფესორი ნ. ხარაძე ; ასოცირებული პროფესორი ნ. პაიჭაძე.

აკადემიური საბჭოს მიერ პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: *თსუ აკადემიური საბჭოს 2021წლის .....*

პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): ***2021-2022***

პროგრამის სტრუქტურა

კოდი	**სასწავლო კურსის დასახელება**	**სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი**	**საგანზე დაშვების წინაპირობა**	**საკონტაქტო მუშაობის საათების რაოდენობა**			**დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა**	**ავტორი/ ავტორები**	**კრედიტების საერთო რაოდენობა**	**კრედიტების განაწილება სემესტრები**	
				სულ	**ლექცია**	**სემინარი/ პრაქტიკული**				**I**	**II**
პროგრამისთვის სავალდებულო სასწავლო კურსები - სულ 40 კრედიტი											
1	ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	**ნუგზარ პაიჭაძე** **მირონ ტუღუში** **ნატალია ხარაძე**	5	5	

2	ორგანიზაციული ქცევა გლობალურ გარემოში	სავალდებულო	ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა	45	15	30	80	**ნინო ფარესაშვილი**	5		5
3	სოციალური ფსიქოლოგია	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	**ლია ჩხიკვიშვილი**	5	5	
4	შრომისა და დასაქმების სამართალი	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	**ეკატერინე ქარდავა**	5		5
5	პერფორმანს მენეჯმენტი გლობალურ გარემოში	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	**ნინო ფარესაშვილი**	5	5	
6	ტალანტების მართვა	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	**ნატალია ხარაძე** **დეა ფირცხალაიშვილი**	5		5
7	მონაცემთა კვლევა და ანალიზი SPSS-ის საშუალებით	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	**მზია ტიკიშვილი**	5		5
8	მენეჯმენტი გლობალურ გარემოში	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	**გიორგი ღაღანიძე** **გელა გრიგალაშვილი**	5	5	
სულ - 40 კრედიტი											
პროგრამისთვის არჩევითი სასწავლო კურსები - სულ 20 კრედიტი											

1	რეკრუტინგი და დაჯილდოების მენეჯმენტი	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	**ნატალია ხარაძე** **დეა ფირცხალაშვილი**	**5**		
2	კონფლიქტ მენეჯმენტი და მოლაპარაკება	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	**ნინო ფარესაშვილი**	**5**	**10**	
3	ლიდერობა	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	**ნატალია ხარაძე**	**5**		
4	ოფისის მენეჯმენტი და საქმის წარმოება	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	**მირონ ტუღუში** **თამარ ღამბაშიძე**	**5**		
5	ბიზნეს პროცესების მენეჯმენტი	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	**ბადრი რამიშვილი**	**5**		**10**
6	ლიდერობა და ემოციური ინტელექტი	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	**ნატალია ხარაძე** **დეა ფირცხალაიშვილი**	**5**		
7	ორგანიზაციული ცვლილებების მენეჯმენტი	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	**მირონ ტუღუში** **თამარ ღამბაშიძე**	**5**		
8.	შრომის ბაზრის რეგულირება გლობალიზაციის პირობებში	არჩევითი	ადამიანური რესურსების	45	15	30	80	**მირონ ტუღუში**	**5**		

			მართვის პრაქტიკა								
სულ: 60 კრედიტი											